



# მინის დეკორატიული დამუშავების და ვიტრაჟის ამწყობი სპეციალისტი

---

პროფესიული სტანდარტი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2018 წელი

1. **დასახელება (ქართულად):** მინის დეკორატიული დამუშავების და ვიტრაჟის ამწყობი სპეციალისტი
2. **დასახელება (ინგლისურად):** The Specialist of glass decorative processing and the constructor of the stained glass
3. **პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:**
4. **პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით:** 8181
5. **დასაქმების სფეროს აღწერა:** მინის დეკორატიული დამუშავების და ვიტრაჟის ამწყობი სპეციალისტის პროფესია მოიცავს მინის დიზაინის საბაზისო ტექნოლოგიური პროცესებისა და კანონზომიერებების ერთობლიობას. ეს პროფესია წარმოადგენს ზოგადად დიზაინის სფეროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. ამ დარგის სპეციალისტები აქტიურად არიან ჩართულნი როგორც დეკორატიულ -გამოყენებით სფეროში ისე არქიტექტურაში. ამ სამუშაოს ასრულებენ მინის მბერავები, მინის ჭრის, მინის მოხატვისა და ვიტრაჟის ამწყობი სპეციალისტები (ოსტატები და შეგირდები). მათ კარგად იციან ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების მართვა. ისინი მხატვრის ან დამკვეთის ესკიზის მიხედვით ასრულებენ მოცემულობას მასალაში და ქმნიან მხატვრული და მატერიალური ღირებულების ნამუშევრებს.
6. **სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:** მინის დეკორატიული დამუშავების და ვიტრაჟის ამწყობი სპეციალისტის სამუშაო გარემოა სტუდია- სახელოსნო, სადაც ასრულებს სამუშაოს. სახელოსნო აღჭურვილია საჭირო დანადგარებითა და მასალებით, აგრეთვე უზრუნველყოფილია უსაფრთხო სამუშაო გარემო და დაცულია უსაფრთხოების საერთო ნორმები. კურსდამთავრებული, მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით, შეიძლება დასაქმდეს შესაბამის სახელობო საწარმოებში, სამხატვრო სალონებსა და კერძო სახელოსნოებში, ასევე შესაძლებელია თვითდასაქმება: სახელოსნოში მინის დეკორატიული მცირე პლასტიკისა და ჩანართების შესრულება- რეალიზაცია, მინის ექსპერიმენტული ლაბორატორია, საავტორო ნაკეთობების შექმნა, მცირე ბიზნესის განვითარება.
7. **აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:** კანონმდებლობით დადგენილი არ არის.

**8. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:**

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1	სამუშაოს ორგანიზება	1.1. განსაზღვრავს დამკვეთის მოთხოვნებს; 1.2. იღებს დაკვეთას; 1.3. გეგმავს სამუშაოს თანმიმდევრობას;

		<p>1.4. არჩევს მასალას;</p> <p>1.5. აკეთებს კალკულაციას.</p>
2	უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	<p>2.1. იცავს უსაფრთხოების საერთო ნორმებს და წესებს;</p> <p>2.2. უზრუნველყოფს პირველად გადაუდებელ დახმარებას;</p> <p>2.3. იცავს დაზგა-დანადგარებსა და ხელსაწყო-იარაღებთან უსაფრთხოდ მუშაობის ნორმებს;</p> <p>2.4. იცავს გარემოს დაცვის ნორმებს.</p>
3	შაბლონის გაკეთება	<p>3.1. განიხილავს ესკიზს;</p> <p>3.2. ადგენს შაბლონის ზომებს;</p> <p>3.3. ამუშავებს შაბლონს ფერში ესკიზის მიხედვით;</p> <p>3.4. ამღევს შაბლონს დასრულებულ სახეს.</p>
4	მინის ამობურცა	<p>4.1. ამზადებს სამუშაო ადგილს;</p> <p>4.2. ესკიზის მიხედვით განსაზღვრავს მინის დამუშავების მეთოდს;</p> <p>4.3. ბერავს ფორმას;</p> <p>4.4. აკეთებს დეკორს;</p> <p>4.5. აწრობს ნაკეთობას;</p> <p>4.6. ამღევს ნაკეთობას საბოლოო სახეს.</p>
5	მინის დამუშავება ცივი ტექნიკით	<p>5.1. განსაზღვრავს მინის დამუშავების მეთოდს;</p> <p>5.2. გადააქვს ესკიზი ნამუშევარზე (ფორმაზე);</p> <p>5.3. ასრულებს დეკორს ალმასური ჭრის მეთოდის გამოყენებით;</p> <p>5.4. ასრულებს დეკორს ქვიშის ჭავლის დამუშავების ტექნიკით;</p> <p>5.5. ასრულებს დეკორს გრავირების მეთოდით;</p> <p>5.6. ახდენს ნაკეთობის საბოლოო დამუშავებას.</p>
6	მინის მოხატვა	<p>6.1. გადააქვს ესკიზი ფორმაზე;</p> <p>6.2. ამზადებს პალიტრას;</p> <p>6.3. ასრულებს მოხატვას;</p> <p>6.4. ასრულებს გამოწვას.</p>

7	თაბაშირის ფორმების ჩარხვა	8.1. ამზადებს თაბაშირის მასას; 8.2. ასხავს თაბაშირის სხმულს ესკიზის მიხედვით; 8.3. ჩარხავს მოდელს ესკიზის მიხედვით; 8.4. ამზადებს მოდელს ყალიბის ასაღებად; 8.5. ასხამს(იღებს) ყალიბს.
8	მინის ლეწის მეორადი დამუშავება	9.1. ამუშავებს მინის ლეწს მოცემულობის მიხედვით; 9.2. ანაწილებს მინის ლეწს ყალიბში; 9.3. ალღობს ღუმელში მინის ლეწს; 9.4. აძლევს ნაკეთობას საბოლოო სახეს.
9	პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	10.1. ეცნობა ორგანიზაციის სტრუქტურასა და საკუთარ უფლება-მოვალეობებს; 10.2. აფასებს საკუთარ კომპეტენციებს, ცოდნასა და უნარებს; 10.3. ეცნობა პროფესიულ სიახლეებს; 10.4. გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

### 9. პიროვნული თვისებები:

- დეტალებზე ორიენტირებულობა
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელურობა
- შემოქმედებითობა

### 10. მატერიალური რესურსი

#### იარაღ-დანადგარები:

მინის მოსახარში ღუმელი, საწრთობი ღუმელი, ელექტროღუმელი, გასახურებელი ღუმელი, დაბალტემპერატურიანი ღუმელი, ლერი, (გამოსაწრთობი), მინის ალმასური ჭრის ჩარხი, ქვიშის ჭავლით დამუშავების დანადგარი, გრავირების დანადგარი (ლაზერის, ბორმანქანა - სპილენძის, ალუმინის, ალმასის, დისკებით), მინის ამოსაბერი მილი, მაკრატელი, მაშა, პინცეტი, ხის დაფა, ხის კოვზი, მინამბერის სკამი, რკინის სადგამი, სპეც ტანსაცმელი და სპეც დანიშნულების საშუალებები. (ცეცხლგამძლე სათვალე, ხელთათმანი, წინსაფარი..), მინის მოსახეხი დანადგარი, ელექტრო და მექანიკური მინის საჭრელი, სარჩილავი ელექტრო ხელსაწყო, საჩარხი დაზგა და იარაღები.

#### მასალები:

მინის ლეწი, დაბალღობადი ფერადი მინის დროტები, საღებავები, ფუნჯები, ფურცლოვანი ფერადი მინა, ტყვია, თითბერი, კალა, სპილენძი, მარილმჟავა, თაბაშირი, ქვიშა, შაბიამნის ხსნარი.

### 11. სამომავლო ტენდენციები:

- ახალი ტექნოლოგიები,
- მინის ხარშვა პირველადი ნედლეულით,
- მინის საწარმოს აღჭურვა,
- მინის ნაწარმის მასიური წარმოება და მუშა-ხელის დასაქმების პერსპექტივა.

### 12. პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	სამუშაოს ორგანიზება	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომუნიკაციის მეთოდები</li> <li>• პროფესიული ტერმინოლოგია</li> <li>• კომუნიკაციის თანამედროვე/ელექტრონული საშუალებების გამოყენების წესი;</li> <li>• დამკვეთის მოთხოვნების სრულყოფილად დაფიქსირების წესი</li> <li>• დაკვეთის გაფორმების წესი</li> <li>• ხელშეკრულების გაფორმების წესი</li> <li>• შესასრულებელი სამუშაოთა თანმიმდევრობა</li> <li>• შესასრულებელ სამუშაოთა დროში გაწერის წესები: ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლივობის მიხედვით</li> <li>• ნაკეთობის მასალის განსაზღვრის წესი</li> <li>• მასალის თვისებები</li> <li>• მასალის რაოდენობის განსაზღვრის წესი</li> <li>• მასალის ხარისხის განსაზღვრის წესი</li> <li>• იცის სამუშაო მასალების ხარჯთაღრიცხვის შედგენის წესი;</li> <li>• იცის სამუშაოს შესრულებაზე გაწეული ხარჯების გამოთვლის წესი.</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დამკვეთთან პროფესიული ურთიერთობის წარმართვა;</li> <li>• კოლეგებთან/თანამშრომლებთან პროფესიული მსჯელობა კონკრეტული ამოცანის გადაჭრის მიზნით;</li> <li>• პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება კოლეგებთან ურთიერთობისას;</li> <li>• კომუნიკაციის თანამედროვე/ელექტრონული საშუალებების გამოყენება;</li> <li>• დამკვეთის მოთხოვნების სრულყოფილად დაფიქსირება.</li> <li>• დაკვეთის გაფორმება მოთხოვნის შესაბამისად;</li> <li>• რეკომენდაციის გაწევა დამკვეთის მოთხოვნების გათვალისწინებით</li> <li>• შეკვეთის შესრულებისათვის საჭირო ხელშეკრულების გაფორმება</li> <li>• შესასრულებელი სამუშაოს ტექნიკურ/ტექნოლოგიური პროცესის დაგეგმვა;</li> <li>• პროცესის დროში სწორად გაწერა, შეკვეთის შესრულების ვადებთან თანხვედრაში.</li> <li>• ნაკეთობის/ნაწარმის მასალის განსაზღვრა</li> </ul>

			<p>დაკვეთის/პროექტის მოთხოვნებიდან გამომდინარე;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მასალის რაოდენობის განსაზღვრა;</li> <li>• მასალის ხარისხის გაკონტროლება.</li> <li>• სამუშაო მასალების ხარჯთაღრიცხვის შედგენა;</li> <li>• სამუშაოს შესრულებაზე გაწეული კომუნალური ხარჯების გამოთვლა;</li> <li>• გაწეული შრომის საფასური განსაზღვრა.</li> <li>• მარტივი მათემატიკური ოპერაციების შესრულება.</li> </ul>
2.	<p><b>უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა</b></p>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შრომის უსაფრთხოების ნორმები სახელოსნოს პირობებში</li> <li>• მინის დამუშავებასთან დაკავშირებული დადგენილი უსაფრთხოების წესები;</li> <li>• შრომის ჰიგიენის ნორმები;</li> <li>• ჰიგიენის სხვადასხვა საშუალებები;</li> <li>• პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი ელექტრული დენით დაზიანებისას;</li> <li>• პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი დამწვრობისას;</li> <li>• პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი მექანიკური დაზიანებისას;</li> <li>• პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი ქიმიური დაზიანებისას;</li> <li>• პირველადი დახმარების აღმოჩენის წესები</li> <li>• დაზგა-დანადგარების სახეები და მათი მუშაობის პრინციპი</li> <li>• ხელსაწყო-იარაღების სახეები და მათი დანიშნულება</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა სახელოსნოს პირობებში;</li> <li>• მინის დამუშავებასთან დაკავშირებული დადგენილი უსაფრთხოების წესების დაცვა;</li> <li>• ჰიგიენის ნორმების დაცვა;</li> <li>• ჰიგიენის საშუალებების სწორად გამოყენება;</li> <li>• პირველადი დახმარების აღმოჩენა ელექტრული დენით დაზიანებისას;</li> <li>• პირველადი დახმარების აღმოჩენა დამწვრობისას;</li> <li>• პირველადი დახმარების აღმოჩენა მექანიკური დაზიანებისას;</li> <li>• პირველადი დახმარების აღმოჩენა ქიმიური დაზიანებისას;</li> <li>• პირველადი დახმარების აღმოჩენა</li> <li>• დაზგა-დანადგარებთან უსაფრთხოდ მუშაობა</li> <li>• ხელსაწყო-იარაღების უსაფრთხოდგამოყენება</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• დამცავი საშუალებების სახეობები;</li> <li>• სპეცტანსაცმლის სახეობები;</li> <li>• სპეცტანსაცმლისა და დამცავი საშუალებების გამოყენების ინსტრუქციები.</li> <li>• გარემოს დაცვითი ნორმები</li> <li>• გარემოს დაცვითი მოთხოვნები მინის დამუშავების შესრულებისას;</li> <li>• პროფესიული ეთიკის ნორმები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სპეცტანსაცმლისა და დამცავი საშუალებების გამოყენება</li> <li>• გარემოსთვის უსაფრთხოდ აწარმოოს პროფესიული საქმიანობა</li> <li>• სამუშაო უზნის მონიტორინგში მონაწილეობა</li> <li>• პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.</li> </ul>
3.	შაბლონის გაკეთება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ესკიზის მასალაში შესრულების პრინციპები</li> <li>• ფანქრით ხატვის საწყისი ელემენტები</li> <li>• ესკიზში ტექნიკური ცვლილების შეტანის წესები</li> <li>• ხაზვის საწყისი ელემენტები</li> <li>• მასშტაბის გამოთვლის წესი</li> <li>• პროპორციის გამოთვლის წესი</li> <li>• ფერთა გამა</li> <li>• ცივი და თბილი ფერების შეხამების წესები</li> <li>• შაბლონის მასალა</li> <li>• შაბლონის დამუშავების წესები.</li> </ul>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ესკიზის იდენტიფიცირება</li> <li>• ესკიზის წაკითხვა ტექნიკური ხერხების ცოდნის გათვალისწინებით</li> <li>• საჭირო ტექნიკური ცვლილების შეტანა ესკიზის მუშა- ნახაზში</li> <li>• ესკიზის პროპორციული ცვლილების განხორციელება</li> <li>• შაბლონის საჭირო მასშტაბში ჩასმა</li> <li>• მუშა-ნახაზის შესრულება</li> <li>• ფერების იდენტიფიცირება</li> <li>• შაბლონის ფერში დამუშავება</li> <li>• შაბლონისთვის მასალის შერჩევა ესკიზის მიხედვით</li> <li>• შაბლონის დამუშავება.</li> </ul>
4.	მინის ამობერვა	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უსაფრთხოების დაცვის ნორმები ცხელ ღუმელთან და ცხელ მინასთან მუშაობისას</li> <li>• ხელსაწყო-იარაღების დანიშნულება</li> <li>• ხელსაწყო-იარაღების მოხმარების წესები</li> <li>• ხელსაწყო-იარაღების მოვლა-შენახვის წესები</li> </ul>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უსაფრთხოების ნორმების დაცვა</li> <li>• ხელსაწყო-იარაღების გამოყენება დანიშნულების მიხედვით</li> <li>• ხელსაწყო იარაღების მოვლა-შენახვა</li> <li>• მინის დამუშავების მეთოდის განსაზღვრა</li> <li>• მინის დამუშავების მეთოდის გამოყენება</li> </ul>



		<ul style="list-style-type: none"> <li>• ცხელ მდგომარეობაში მინის დამუშავების მეთოდები</li> <li>• დეკორის დატანის წესები</li> <li>• თავისუფალი ამობერვის წესები</li> <li>• ყალიბში ჩაბერვის წესები</li> <li>• სამუშაოს განაწილების წესი დამხმარესთან ერთად</li> <li>• ესკიზის მიხედვით დეკორის შერჩევის წესები</li> <li>• საწრთობი ღუმელის მუშაობის პრინციპი</li> <li>• საწრთობი ღუმელის ტემპერატურული რეჟიმის დარეგულირების წესები</li> <li>• მოხეხვის დანადგარის მუშაობის პრინციპი</li> <li>• მზა ნაკეთობის გაპრიალების ქიმიური და მექანიკური მეთოდები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დეკორის დატანა</li> <li>• თავისუფალი ამობერვა</li> <li>• ყალიბში ჩაბერვა</li> <li>• დამხმარე ხელოსანთან შეთანხმებული მუშაობა</li> <li>• დეკორის შერჩევა ესკიზის მიხედვით</li> <li>• დეკორის შესრულება სხვადასხვა ხერხებით</li> <li>• საწრთობი ღუმელის მომზადება</li> <li>• საწრთობი ღუმელის ტემპერატურული რეჟიმის მართვა</li> <li>• ნაკეთობის წრთობა</li> <li>• მოხეხვის დანადგარის მართვა</li> <li>• ნაკეთობის დამუშავება მოხეხვის დანადგარის საშუალებით.</li> <li>• მზა ნაკეთობის გაპრიალება ქიმიური და მექანიკური მეთოდებით.</li> </ul>
5.	<p>მინის დამუშავება ცივი ტექნიკით</p>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მინის დამუშავების მექანიკური მეთოდები - ალმასური ჭრა, ქვიშის ჭავლის ტექნიკა, გრავირება ლაზერით და ბორმანქანით</li> <li>• მინის დამუშავების ქიმიური მეთოდები-მჟავით მოწვა, სპეციალური პასტით</li> <li>• მინის ქიმიური და მექანიკური დამუშავების წესები</li> <li>• ნამუშევარზე ესკიზის ტრაფარეტის საშუალებით გადატანის წესები</li> <li>• ნამუშევარზე გადატანილი ესკიზის დამუშავების წესები</li> <li>• ალმასური ჭრის დაზგასთან მუშაობის წესები</li> <li>• ესკიზის მიხედვით ალმასური ჭრის პროფილების შერჩევის მეთოდები</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მინის დამუშავება მექანიკური მეთოდებით</li> <li>• მინის დამუშავება ქიმიური მეთოდებით</li> <li>• ნამუშევარზე ესკიზის გადატანა ტრაფარეტის საშუალებით</li> <li>• ნამუშევარზე გადატანილი ესკიზის დამუშავება</li> <li>• ალმასური ჭრის დაზგასთან მუშაობა</li> <li>• ალმასური ჭრის პროფილების შერჩევა ესკიზის მიხედვით</li> <li>• ქვიშის ჭავლით დამუშავების დანადგართან მუშაობა</li> <li>• დეკორის შესრულება ქვიშის ჭავლის დამუშავების ტექნიკით</li> <li>• გრავირების აპარატის მართვა</li> <li>• გრავირების შესრულება სხვადასხვა მეთოდით</li> </ul>



		<ul style="list-style-type: none"> <li>• ქვიშის ჭავლით დამუშავების დანადგართან მუშაობის წესები</li> <li>• ქვიშის ჭავლით დამუშავების მეთოდები</li> <li>• გრავირების აპარატის მუშაობის პრინციპი</li> <li>• გრავირების შესრულების მეთოდები და წესები</li> <li>• ნაკეთობის შეფასების წესები</li> <li>• ნაკეთობის გაპრიალების მეთოდები</li> <li>• ნაკეთობის დამონტაჟების წესები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნაკეთობის შეფასება</li> <li>• ნაკეთობის გაპრიალება ქიმიური საშუალებებით</li> <li>• ნაკეთობის გაპრიალება მექანიკური საშუალებებით</li> <li>• ნაკეთობის დამონტაჟება.</li> </ul>
6.	მინის მოხატვა	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსახატი მასალის თვისებები(გამჭვირვალე, გაუმჭვირვალე)</li> <li>• ესკიზის ფორმაზე გადატანის მეთოდები</li> <li>• ორგანული და მინერალური საღებავების თვისებები</li> <li>• პიგმენტით მინის საღებავის გაზავების წესები</li> <li>• სხვადასხვა ხელსაწყოებით (კლამი, ფუნჯი, მასტეხინი, ღრუბელი) მოხატვის დატანის წესები</li> <li>• რელიეფური, გამჭვირვალე, გაუმჭვირვალე, კონტურული, საღებავებით მოხატვის წესები</li> <li>• გამოწვის ღუმელის მუშაობის პრინციპი</li> <li>• სხვადასხვა ტიპის საღებავის გამოწვის ტემპერატურა.</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსახატი მასალის გარჩევა თვისებების მიხედვით</li> <li>• ესკიზის გადატანა ფორმაზე</li> <li>• საღებავის განსაზღვრა დავალების მიხედვით</li> <li>• პიგმენტით მინის საღებავის გაზავება</li> <li>• გამოწვის შემდეგ მისაღები ფერის განსაზღვრა</li> <li>• მოხატვა სხვადასხვა ხელსაწყოების გამოყენებით</li> <li>• გამოწვის ღუმელის მართვა</li> <li>• საღებავის ტიპის შესაბამისად გამოწვის ტემპერატურული რეჟიმის დარეგულირება.</li> </ul>
7.	მინის ვიტრაჟის დამზადება	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფერადი მინის შერჩევის წესი</li> <li>• ფერადი ტიხარის შერჩევის წესი</li> <li>• მინის დამუშავების მეთოდები</li> <li>• მინის დაჭრის ელექტრო და მექანიკური ხერხები</li> <li>• ტიხარის მოღუნვის და მოჭრის მეთოდები</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფერადი მინის შერჩევა ესკიზის მიხედვით</li> <li>• ტიხარის შერჩევა</li> <li>• მინის დაჭრა ელექტრო და მექანიკური ხერხებით</li> <li>• მინის დამუშავება</li> <li>• მინის განლაგება შაბლონზე</li> <li>• ტიხარის მოღუნვა და მოჭრა</li> <li>• ტიხარის მორგება შაბლონის მიხედვით</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• ტიხრის მორგების მეთოდები</li> <li>• ელექტრო- სარჩილავი ხელსაწყო მოხმარების წესი</li> <li>• მირჩილვის მეთოდები</li> <li>• ტიხრის დაჟანგვის მეთოდები</li> <li>• ტიხარის ტონირების წესები</li> <li>• სხავასახვა მასალის ტიხარის დამუშავების მეთოდები</li> <li>• მინის ვიტრაჟის მონტაჟის წესები</li> <li>• მინის ვიტრაჟის დასამონტაჟებელი ხელსაწყოების გამოყენების წესები</li> <li>• მინის ვიტრაჟის გასუფთავების წესები და მეთოდები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სარჩილავი ხელსაწყო გამოყენება</li> <li>• მირჩილვა ტიხარზე(კალით დამაგრება)</li> <li>• სხავასახვა მასალის ტიხარის დამუშავება</li> <li>• ტიხარის ტონირება</li> <li>• ვიტრაჟის დასამონტაჟებელი ხელსაწყოების გამოყენება</li> <li>• ვიტრაჟის დამაგრება</li> <li>• მინის ვიტრაჟის გასუფთავება.</li> </ul>
8.	თაბაშირის ფორმების ჩარხვა	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საჩარხი თაბაშირის მომზადების წესი</li> <li>• საჩარხი იარაღების მოხმარების წესები</li> <li>• ესკიზის მიხედვით თაბაშირის მოდელის ზღუდის დამზადების წესი</li> <li>• მოდელის ზომის მიხედვით თაბაშირის სხმულის დამზადების წესი</li> <li>• ჩარხთან მუშაობის წესები</li> <li>• ხელსაწყოების გამოყენების მეთოდები</li> <li>• მოდელის მომზადების წესი ყალიბის ასაღებად</li> <li>• ყალიბში არმირების მოთავსების წესი</li> <li>• საყალიბე მასალის შერჩევის წესი</li> <li>• საყალიბე მასალის დამზადების პროპორციები.</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საჩარხი თაბაშირის მომზადება</li> <li>• საჩარხი იარაღების მოხმარება</li> <li>• ესკიზის მიხედვით თაბაშირის მოდელის ზღუდის დამზადება</li> <li>• მოდელის ზომის მიხედვით თაბაშირის სხმულის დამზადება</li> <li>• ჩარხთან მუშაობა</li> <li>• ხელსაწყოების გამოყენება</li> <li>• მოდელის მომზადება ყალიბის ასაღებად</li> <li>• არმირებული ყალიბის დამზადება</li> <li>• მავთულისაგან კარკასის შეკვრა</li> <li>• საყალიბე მასალის დამზადება</li> <li>• ყალიბის დამზადება მინის ნაკეთობის დასამზადებლად.</li> </ul>

9.	მინის ლეწის მეორადი დამუშავება	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მინის ლეწის დახარისხების ხერხები</li> <li>• მინის ლეწის ქიმიური შემადგენლობა</li> <li>• მინის ლეწის გარეცხვა - გაშრობის წესები</li> <li>• ყალიბის მომზადების წესები</li> <li>• მინის ლეწის ყალიბში განაწილების მეთოდები</li> <li>• გამოსაწვავი ლუმელის მუშაობის პრინციპი</li> <li>• მასალის მიხედვით ტემპერატურული რეჟიმის რეგულირების მეთოდები</li> <li>• ნაკეთობის შეფასების წესები</li> <li>• ნაკეთობის ზედაპირის დამუშავების წესები ქიმიური და მექანიკური საშუალებით.</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მინის ლეწის დახარისხება ზომის მიხედვით</li> <li>• მინის ლეწის დახარისხება ქიმიური შემადგენლობის მიხედვით</li> <li>• დახარისხებული ლეწის გარეცხვა-გაშრობა</li> <li>• მინის ლეწის გაღობა</li> <li>• ლეწის რაოდენობის განსაზღვრა (განაწილება ყალიბში)</li> <li>• ყალიბის მომზადება მინის მოღირების დასამზადებლად(მინის ლობა)</li> <li>• ტემპერატურის რეგულირება გამოწვის დროს</li> <li>• ნაკეთობის შეფასება</li> <li>• ნაკეთობის ზედაპირის დამუშავება მექანიკური საშუალებით</li> <li>• ნაკეთობის ზედაპირის დამუშავება ქიმიური საშუალებით.</li> </ul>
10.	პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მინის დამუშავების და ვიტრაჟის ამწყობის პროფილის ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულები;</li> <li>• აღნიშნულ ორგანიზაციებში დასაქმებულების უფლება - მოვალეობები;</li> <li>• საქართველოში მოქმედი პროფესიული გაერთიანებები</li> <li>• პროფესიული კომპეტენციის შეფასების კრიტერიუმები</li> <li>• საკუთარი ცოდნის შეფასების მეთოდები;</li> <li>• საკუთარი უნარების შეფასების მეთოდები.</li> <li>• ინფორმაციის მოძიების წესები სემინარების და პროფესიული ტრენინგ-კურსების შესახებ;</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მინის დამუშავების და ვიტრაჟის ამწყობის პროფილის ორგანიზაციების სტრუქტურულ ერთეულებში გარკვევა;</li> <li>• აღნიშნულ ორგანიზაციებში დასაქმებულების უფლება - მოვალეობების დაცვა</li> <li>• საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედება;</li> <li>• საკუთარი ცოდნის გამოყენება</li> <li>• საკუთარი უნარების წარმოჩენა.</li> <li>• ინფორმაციების მოძიება კონფერენციების შესახებ;</li> <li>• ინფორმაციების მოძიება სემინარების შესახებ;</li> <li>• ინფორმაციის მოძიება პროფესიული ტრენინგ - კურსების შესახებ;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>პროფესიული ლიტერატურის მოძიების წესები მინის დამუშავების მიმართულებით</li> <li>ინფორმაციის მოძიების წესები კონფერენციების, გამოფენების შესახებ;</li> <li>ინტერნეტრესურსების გამოყენების წესი მინის დამუშავების მიმართულებით.</li> <li>მოთხოვნები პროფესიული განვითარების მიმართ</li> <li>საქართველოში მოქმედი პროფესიული გაერთიანებები</li> <li>პროფესიული ტრენინგის მნიშვნელობა პროფესიული განვითარებისათვის.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროფესიული ტრენინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზება</li> <li>პროფესიულ ტრენინგზე მიღებული ინფორმაციის გაგება-გააზრება</li> <li>პროფესიული ლიტერატურის მოძიების წესის გამოყენება და გაანალიზება მინის დამუშავების მიმართულებით ;</li> <li>ინტერნეტ რესურსების მოძიების ხერხების გამოყენება მინის დამუშავების მიმართულებით.</li> </ul>
--	--	---

13. სტანდარტის მოქმედების ვადა: 5 წელი

14. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი ორგანიზაციის წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	მაია სეხნიაშვილი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
2	ნატო გაბოშვილი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
3	ოლღა ქუთათელაძე	აკადემიის სახელოსნო, მინის ტექნოლოგი
4	მანანა ყიფიანი	საქართველოს კარიტასი, დამსაქმებელი
5	მაია გაბადაძე	ინდ.მეწარმე“მაია გაბადაძე“ დამსაქმებელი
6	დარეჯან ჭილაშვილი	დამსაქმებელი
7	ნანა ფარულავა	თვითდასაქმებული
8	ლია მაჭავარიანი	საპატრიარქოს აკადემია, დასაქმებული
9	გიორგი გიგაური	საქართველოს კარიტასი, დამსაქმებელი
10	ბიძინა სიჭინავა	თვითდასაქმებული
11	იური სკრინნიკოვი	IWS Georgia, მხატვარი

**დასახელება:** მინის დეკორატიული დამუშავების და ვიტრაჟის ამწყობი სპეციალისტი

## **შეფასების სტანდარტი**

### **ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია**

შეფასების სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლების ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით. შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტში ასახული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასების ან/და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებს და ამოცანებში;
2. შესაფასებელი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომელიც ასახავს აუცილებელ პროფესიულ ცოდნას და უნარებს;
3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების შესაძლებლობებს;
4. გამოცდის პროცესს და კომპონენტებს.

### **შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება**

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების გზები:

- ა) ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა)
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული კომპეტენციების დადასტურება (ნამდვილობის დადასტურება) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით
- გ) მიღწეული კომპეტენციების დადასტურება ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით ჩატარებული გამოცდის გზით

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

### **ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი**

ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი მოიცავს მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას (ჩათვლას) საძიებელი კვალიფიკაციის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული პრინციპების შესაბამისად,

ა) დასაშვებია ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა) ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში, თუ სწავლის შედეგები თავსებადია საძიებელ კვალიფიკაციასთან და მათი მიღწევა დადასტურებულია, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დადებითი შეფასებით და შესაბამისი კრედიტის მინიჭებით.

ბ) თავსებადობის დადგენისთვის შინაარსობრივი შესწავლის მიზნით ამღიარებელი დაწესებულება ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის კომპონენტი, არსებობის შემთხვევაში - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და სილაბუსებს, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს. ამდარიებელი დაწესებულება უფლებამოსილია აღიარების მიზნებისათვის შესაფასებელ პირს მოსთხოვოს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და წარდგენა.

გ) სწავლის შედეგების თავსებადობის განსაზღვრის მიზნით აუცილებელი არაა მათი ფორმულირება იყოს იდენტური. თავსებადად ჩაითვლება სწავლის შედეგები, რომლებიც/რომელთა ერთობლიობაც შინაარსის თვალსაზრისით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის გათვალისწინებით შესაძლოა მიჩნეულ იქნას ანალოგიურად.

## **ნაწილი 2. მითითებები შესაფასებელი პირის ადა შემფასებლისათვის**

### **შეფასების დაწყებამდე გაეცანით:**

- პროფესიულ სტანდარტს
- შეფასების ინსტრუმენტებს
- დაინტერესებული/შესაფასებელი პირის კომპეტენციების აღიარებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს
- შეფასების პირობებს
- შეფასების წესებს
- შეფასების კრიტერიუმებს

### **შეფასების პროცესში:**

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებლისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები
- თუ აუცილებელია შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით
- შეაფასეთ თითოეული კრიტერიუმი

### **შეფასების დასრულებისას:**

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები

- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

### **ნაწილი 3. შეფასების პროცედურა**

#### **მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ორგანიზების პროცესი და კომპონენტები**

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ჩატარების პროცესი მოიცავს დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შესრულების ეტაპებს.

მიუხედავად იმისა, დასტურდება თუ არა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები შეფასების სტანდარტის ნაწილი 1-ის „შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება“ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, შეფასების პროცესი მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (გამოცდას), რომლის შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების პროცესის მოთხოვნები, ასევე შეფასების სავალდებულო კომპონენტები.

### **ნაწილი 4 : თეორიული გამოკითხვის და პრაქტიკული /დავალებების თემატიკა**

#### **გამოკითხვა**

##### **გამოკითხვის ფორმა:**

- შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის და ზეპირი შეკითხვების სახით
- ტესტი უნდა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს

##### **გამოკითხვის პროცესის მონიტორინგი:**

არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება;

##### **მოპოვებული მტკიცებულებები:**

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით/შესრულებული ტესტით, ან/და პრაქტიკული დავალების დროს დამატებით, დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხებით.

##### **თეორიული საგამოცდო თემატიკა:**

- დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად საგამოცდო თემატიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:



- ა) პირადი ჰიგიენის და სანიტარული ნორმები;
- ბ). შრომის უსაფრთხოების ნორმები მინის დამუშავების სახელოსნოს პირობებში;
- გ) ცხელ მდგომარეობაში მინის დამუშავების მეთოდები;
- დ) ცივ მდგომარეობაში მინის დამუშავების მეთოდები.

სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

**ნაწილი 5. პრაქტიკული დავალების/დავალებები შესრულების/შემფასების კრიტერიუმების მითითებებით:**

**პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება**

**საგამოცდო გარემო:**

შესაფასებელი პირის შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალებების სახით.

**საგამოცდო პროცესის მონიტორინგი:**

საგამოცდო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს შემფასებელი/შემფასებლები (ნეიტრალური კომისია) წინასწარი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

**მოპოვებული მტკიცებულებები:**

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმით.

**საგამოცდო პრაქტიკული დავალებების ჩამონათვალი:**

**დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად სტუდენტმა უნდა შეასრულოს დავალება:**

- ა) ესკიზი შექმნა;
- ბ) ფორმების გამოძერწვა;
- გ) ყალიბის დამზადება;
- დ) მინის მხატვრული ჭრა;
- ე) ვიტრაჟის დამზადება;
- ვ) ცხელი ტექნოლოგიით მინის მცირე ნაკეთობების დამზადება;
- ზ) ამობერვის მეთოდით მინის დამზადება;
- თ) ფიუზინგის დამზადება;
- ი) ფურცლოვანი მინით ფიგურების დამზადება.

**გაითვალისწინეთ:**

1. შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოებისას ეკონომიური, ხარისხის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, სამართლებრივი, უსაფრთხოების წესების დაცვის, ჰიგიენის დაცვის მიდგომების, სამუშაოს შესრულების თანამიმდევრობის შეფასება წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილ დავალებებზე დაკვირვების თანამდევ პროცესს და მასზე დამატებითი დროის გამოყოფა არაა რეკომენდებული.

2. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროების შემთხვევაში მოჰყავს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტები
3. სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

**ნაწილი 6. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია**

**შემფასებლის ჩანაწერების ფორმები**

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

დადასტურებული კომპეტენცია	მტკიცებულებები		
	ფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	არაფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	გამოცდა (დანართი N)

შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი:

დადასტურება: